შპს გსქ კულა

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს გსქ კულა

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....1-3

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....8-25

FINANCIAL OFFICE
ACCOUNTING & ADVISORY

A member of
msi Global Alliance
Independent legal & accounting firms

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გსქ კულას მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს გსქ კულას (შემდგომში ,,კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"*. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ კოდექსი). ჩვენს მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკურ და სხვა მოთხოვნებს. შესაბამისად, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ გაკეთებულ პროგნოზებსა და მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ აღმოვაჩენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადექვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე,

რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარდგენის პრინციპს.

სხვა საკითხთა შორის, ჩვენ კომპანიის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს და აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ნინო სამხარაძე.

ნინო სამხარაძე *(რეგ. № SARAS-A-425114)*

შპს „ფინანსური ოფისის“ სახელით *(რეგ. № SARAS-F-802337)*

28 სექტემბერი 2023 წ.

რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარდგენის პრინციპს.

სხვა საკითხთა შორის, ჩვენ კომპანიის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს და აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ნინო სამხარაძე.

ნინო სამხარაძე

ნინო სამხარაძე (რეგ. № SARAS-A-425114)

შპს „ფინანსური ოფისის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-802337)

28 სექტემბერი 2023 წ.

შპს გსქ კულა
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	**4**	9,180	13,793
რეალიზაციის თვითღირებულება	**5**	(8,052)	(10,955)
საერთო მოგება		**1,128**	**2,838**
სხვა საოპერაციო შემოსავლები	**6**	1,677	758
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	**7**	(900)	(450)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**8**	(651)	(556)
საეჭვო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	**9,12,20**	(55)	(49)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**1,199**	**2,541**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	**10**	(235)	(200)
კურსთა შორისი წმინდა მოგება(ზარალი)		22	(30)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**986**	**2,311**
მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)		-	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		**986**	**2,311**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 28 სექტემბერს.

ივანე გოგლიძე
დირექტორი

ლუდმილა გავრილენკო
მთავარი ბუღალტერი

8-25 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გსქ კულა
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	9,180	13,793
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(8,052)	(10,955)
საერთო მოგება		**1,128**	**2,838**
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	1,677	758
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	7	(900)	(450)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(651)	(556)
საეჭვო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	9,12,20	(55)	(49)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**1,199**	**2,541**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	10	(235)	(200)
კურსთა შორისი წმინდა მოგება(ზარალი)		22	(30)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**986**	**2,311**
მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)		-	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		**986**	**2,311**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 28 სექტემბერს.

ივანე გოგლიძე
დირექტორი

ლუდმილა გავრილენკო
მთავარი ბუღალტერი

8-25 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გსქ კულა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	2,010	2,510
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,010**	**2,510**
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	4,377	4,794
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13	9,451	6,062
ფულადი სახსრები	14	2,019	556
საგადასახადო აქტივები / ვალდებულებები (წმინდა)	19	785	1,087
სულ მოკლევადიანი აქტივები		**16,632**	**12,499**
სულ აქტივები		**18,642**	**15,009**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	1,470	1,470
დამატებით შეტანილი კაპიტალი	15	200	200
გაუნაწილებელი მოგება	15	10,133	8,478
სულ კაპიტალი		**11,803**	**10,148**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ლიზინგის ვალდებულებები	16	-	59
სასესხო ვალდებულებები	17	2,686	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**2,686**	**59**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ლიზინგის ვალდებულებები	16	59	127
სასესხო ვალდებულებები	17	223	1,859
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	3,871	2,816
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**4,153**	**4,802**
სულ ვალდებულებები		**6,839**	**4,861**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**18,642**	**15,009**

8-25 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გსქ კულა
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2021	**1,470**	**200**	**7,167**	**8,837**
წლის მოგება და მ.ს.შ.			2,311	2,311
სხვა დარიცხვები			(1,000)	(1,000)
31 დეკემბერი 2021	**1,470**	**200**	**8,478**	**10,148**
წლის მოგება და მ.ს.შ.			986	986
სხვა დარიცხვები			669	669
31 დეკემბერი 2022	**1,470**	**200**	**10,133**	**11,803**

დამატებითი ინფორმაცია კაპიტალის შესახებ მოცემულია 3.10 და 15 შენიშვნებში.

8-25 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გსქ კულა
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		986	2,311
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	11	158	120
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან		183	16
საპროცენტო ხარჯი	10	235	200
სხვა არაფულადი დარიცხვები		341	-
შედეგი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		1,903	2,647
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		417	(111)
ცვლილებები მარაგებში		(3,389)	(1,545)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		1,724	(1,571)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		302	(531)
გადახდილი პროცენტი	16,17	(235)	(200)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**722**	**(1,311)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(182)	(210)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(182)**	**(210)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
ლიზინგის გადახდა	16	(127)	(108)
სესხების მიღება	17	2,750	1,820
სესხების გადახდა	17	(1,700)	(1,317)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		**923**	**395**
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/(კლება) პერიოდში		**1,463**	**(1,126)**
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	14	**556**	**1,681**
ფულის წმინდა ზრდა/(კლება) პერიოდში		1,463	(1,126)
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი		-	1
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	14	**2,019**	**556**

8-25 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია „კომპანიის" შესახებ

შპს გსქ კულა (ს/კ: 218083197) რეგისტრირებულია საქართველოში 2009 წლიდან. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი, N17.

კომპანიის მფლობელია: ლეილა ლონდარიძე (100%).

საბოლოო ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი პირია: ივანე გოგლიძე.

ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სხვადასხვა საკონსერვო პროდუქტების, უალკოჰოლო სასმელების, საწებლების, ტყემლების, ჯემების და სხვა მსგავსი საკვები პროდუქტების წარმოება და მათი საბითუმო რეალიზაცია საქართველოში და საზღვარგარეთ.

წარმოება ხორციელდება ქალაქ გორში არსებულ საწარმოში და იქვე არსებული სასაწყობე ინფრასტრუქტურის გამოყენებით ხორციელდება პროდუქციის შენახვა, ხოლო შემდგომ მათი დისტრიბუცია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებზე სადისტრიბუციო მანქანების მეშვეობით.

2. მომზადების საფუძვლები

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ მე-3 შენიშვნაში.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადექვატურობის შეფასებისას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2.3 ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ების შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მოლოდინებს მომავალთან დაკავშირებით, თუმცა ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის ახლანდელი დაშვებებისგან და მომავალში შესაძლოა შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო რაც არ ექვემდებარება კომპანიის პირდაპირ კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება დადგომისთანავე.

გაკეთებული მნიშვნელოვანი დაშვებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია ანაგარიშგების თარიღისათვის აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებული პოლიტიკა განხილულია მე-3 და მე-20 შენიშვნებში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გაითვალისწინა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც რელევანტურია კომპანიის ოპერაციებისთვის და გამოსაყენებლად ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის.

ახალ სტანდარტებს არ გამოუწვევია კომპანიის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, კომპანიამ გადაწყვიტა არ გადაეფასებინა წინა წლის შესადარისი რიცხვები.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 აღრიცხვის საფუძვლები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული (პირვანდელი) ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანიად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვაულტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული (პირვანდელი) ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.3 შემოსავლების აღიარება

ყველა შემოსავლის აღიარება ხორციელდება დარიცხვის მეთოდით, იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ

როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს აანალიზებს შესაბამისი კრიტერიუმებით, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. კომპანიამ დაადგინა, რომ ძირითადად იგი მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ უმეტეს შეთანხმებაში.

შემოსავლების აღიარება მათის სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება უკან დაბრუნებები და ფასდათმობები.

შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადავიდა მყიდველზე;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შესაძლებელია შემოსავლის და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება;

სხვა შემოსავალი

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებული მხარეთა მიერ. სხვადასხვა სახის მომსახურება რომელსაც კომპანია ეწევა, დეტალურად არის მოცემული მე-6 შენიშვნაში.

3.5 ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულებით) დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დაუმთავრებელ მშენებლობაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და აღირიცხება ცალკე. მასზე კაპიტალიზირებული ხარჯები არ იცვითება მანამ სანამ არ მოხდება მშენებლობის დასრულება და მისი კლასიფიცირება როგორც შენობა-ნაგებობის.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისთვის, ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი მზად არის გამოყენებისთვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად.

საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

ცვეთის დარიცხვის საპროცენტო განაკვეთები შემდეგია:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	5% - 20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
საოფისე და სხვა ინვენტარი	10%-20%
დაუმთავრებელი მშენებლობა	-

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ისეთ საწარმოო პირდაპირ და ზედნადებ ხარჯებს როგორიცაა: ნედლეული, ხელფასები, კომუნალური ხარჯები, ცვეთა, და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების მზა პროდუქციის მდგომარეობამდე მისაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა „საშუალო შეწონილი“ ღირებულების პრინციპს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგი აისახება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღსარიცხად ითვალისწინებს ფასს 9-ის მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აგრეთვე ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების დაფარვიდან შეფასების თარიღისთვის ბაზრის დამოუკიდებელ მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად მიჩნეულია, რომ ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დიდწილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების და არ საჭიროებს დისკონტირებას ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ნიშნების არსებობას. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული თანხების ხანდაზმულობებში, ეკონომიკურ პირობებში რომლებიც ურთიერთქმედებაშია ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, და ა.შ.

ფასს 9 არაფინანსურ ინსტიტუტებს უფლებას აძლევს, რომ სავაჭრო და იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანებისთვის გამარტივებული მეთოდი გამოიყენონ. ასეთ შემთხვევაში, საჭირო აღარაა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა და ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის ზრდაზე დაკვირვება. ამის ნაცვლად, საწარმომ უნდა შეაფასოს აქტივის მთელი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიამ თავისი მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის გამარტივებული მიდგომა აირჩია.

აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

მისაღები დებიტორები მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, უზრუნველყოფის ყველა საგანი რეალიზებული ან გადაცემულია კომპანიისთვის. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან

შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ ჩამოწერების ამოღება მომავალში მოხერხდა, იგი აისახება მოგება-ზარალში ფინანსური საქმიანობის ნაწილში.

3.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში კომპანია განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და/ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების დონეზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.10 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდების დარიცხვა, გამოცხადების შემთხვევაში, ხორციელდება მასთან დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით და აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა და აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

(ათასობით ლარში_'000 GEL)	2022	2021
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	6,101	6,893
შემოსავალი ექსპორტით რეალიზაციიდან	3,079	6,900
	9,180	**13,793**

5. რეალიზაციის თვითღირებულება

(ათასობით ლარში_'000 GEL)	2022	2021
პირდაპირი ხარჯები:		
პირდაპირი ნედლეული და მასალები	5,914	9,301
პირდაპირი ხელფასები	954	551
ზედნადები ხარჯები:		
ელექტროენერგია, გაზი, წყალი.	577	428
სხვადასხვა დამხმარე მასალები	458	343
ცვეთა	137	97
ლაბორატორიული მომსახურება	12	37
შეშა	-	198
	8,052	**10,955**

6. სხვა საოპერაციო შემოსავალები

(ათასობით ლარში_'000 GEL)	2022	2021
სუბსიდიები სახელმწიფო აგრო-პროექტებიდან	1,654	783
შემოსავალი იჯარიდან	23	20
	1,677	**758**

7. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

(ათასობით ლარში_'000 GEL)	2022	2021
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები	395	273
სატრანსპორტო დანახარჯები	301	90
შრომის ანაზღაურება	191	74
ცვეთა	11	11
სხვადასხვა ხარჯი	2	2
	900	**450**

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

(ათასობით ლარში_'000 GEL)	2022	2021
შრომის ანაზღაურება	368	310
მივლინების ხარჯები	99	75
კომუნალური და საოფისე ხარჯები	72	56
პროფესიული მომსახურებები	32	20
სხვა საგადასახადო ხარჯები	19	13
ტენდერში მონაწილეობის ხარჯები	14	42
ბანკის საკომისიო	13	25
ცვეთა	9	11
დაზღვევა	8	1
სხვადასხვა ხარჯი	17	3
	651	**556**

9. საეჭვო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი

2022 და 2021 წლებში ანარიცხებისა და რეზერვების მოძრაობის ანალიზი შემდეგია:

(ათასობით ლარში_'000 GEL)	2022	2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:		
საწყისი ნაშთი	**203**	**154**
დამატებითი დანარიცხები	55	49
შებრუნება	-	-
საბოლოო ნაშთი	**258**	**203**

ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ მოცემულია შენიშვნა 20-ში.

10. ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები

(ათასობით ლარში_'000 GEL)	2022	2021
საპროცენტო ხარჯი მიღებული სესხებიდან	191	159
საპროცენტო ხარჯი საბანკო გარანტიებიდან	23	-
საპროცენტო ხარჯი მიღებული ლიზინგიდან	21	41
	235	**200**

11. ძირითადი საშუალებები

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	შენობა - ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე და სხვა ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება						
1 იანვარი 2021	**448**	**2,267**	**205**	**125**	**184**	**3,229**
შესყიდვა	-	192	-	18	-	210
ჩამოწერა	(68)	-	-	(3)	(1)	(72)
31 დეკემბერი 2021	**380**	**2,459**	**205**	**140**	**183**	**3,367**
შესყიდვა	-	164	-	18	-	182
ჩამოწერა	-	-	-	(3)	(183)	(186)
კორექტირებები	33	(3)	3	8	-	41
31 დეკემბერი 2022	**413**	**2,620**	**208**	**163**	**0**	**3,404**
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2021	**120**	**498**	**107**	**68**	**-**	**793**
ცვეთის დარიცხვა	18	78	11	13	-	120
ცვეთის ჩამოწერა	(20)	(36)	-	-	-	(56)
31 დეკემბერი 2021	**118**	**540**	**118**	**81**	**-**	**857**
ცვეთის დარიცხვა	17	121	11	9	-	158
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	(3)	-	(3)
კორექტირებები	81	285	6	10	-	382
31 დეკემბერი 2022	**216**	**946**	**135**	**97**	**-**	**1,394**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2021	**328**	**1,769**	**98**	**57**	**184**	**2,436**
31 დეკემბერი 2021	**262**	**1,919**	**87**	**59**	**183**	**2,510**
31 დეკემბერი 2022	**197**	**1,674**	**73**	**66**	**0**	**2,010**

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ათასობით ლარში_'000 GEL)	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	4,562	4,931
სხვა მოთხოვნები	73	66
საეჭვო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი**	(258)	(203)
	4,377	**4,794**

** ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ მოცემულია შენიშვნა 20-ში.

13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

(ათასობით ლარში_'000 GEL)	31.12.2022	31.12.2021
ნახევარ-ფაბრიკატები	4,668	2,124
მზა პროდუქცია	2,000	1,988
ტარა და შესაფუთი მასალები	1,963	1,178
ნედლეული და მასალები	814	760
სხვა მარაგები	6	12
	9,451	**6,062**

14. ფულადი სახსრები

(ათასობით ლარში_'000 GEL)	31.12.2022	31.12.2021
ფული რეზიდენტ ბანკში	1,729	362
ფული სალაროში	290	194
	2,019	**556**

ინფორმაცია ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ მოცემულია შენიშვნა 20-ში.

15. კაპიტალი

(i) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისად. დამფუძნებლებს შორის წილობრივი გადანაწილება პერიოდების მიხედვით არის შემდეგი:

	31.12.2022	31.12.2021
ლეილა ლონდარიძე	100%	100%
	100%	**100%**

კომპანიის კაპიტალის და წილის განკარგვაზე საბოლოო ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი პირი არის ბატონი ივანე გოგლიძე.

(ii) დამატებით შეტანილი კაპიტალი

დამატებით შეტანილი კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის მიერ შეტანილ ფულად სახსრებს კომპანიის კაპიტალში, რომელიც გამოყენებულ იქნა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

(iii) გაუნაწილებელი მოგება და დივიდენდები

კომპანიის გაუნაწილებელი მოგება შეზღუდულია დივიდენდებად განაწილებისგან იმ ოდენობის ფარგლებში რომელიც ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში. დივიდენდების დარიცხვა, გაცემის შემთხვევაში, ხორციელდება მასთან დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით. დამატებითი ინფორმაცია გაუნაწილებელი მოგებისა და დივიდენდების თანხების მოძრაობის შესახებ იხილეთ კაპიტალის ცვლილებების ანგარიშში.

16. ფინანსური ლიზინგის ვალდებულებები

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას სახელშეკრულებო პირობებზე კომპანიის ფიქსირებულ პროცენტიან სალიზინგო ვალდებულებებზე. ლიზინგი მოცემულია საბალანსო ღირებულებით რომელიც უტოლდება სამართლიან (ამორტიზებულ) ღირებულებას რადგან დისკონტირების გავლენა არ არის არსებითი.

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი კომპონენტი:		
ლიზინგი საფინანსო დაწესებულებიდან	-	59
სულ გრძელვადიანი ლიზინგი	**-**	**59**
მოკლევადიანი კომპონენტი:		
ლიზინგი საფინანსო დაწესებულებიდან	59	127
სულ მოკლევადიანი ლიზინგი	**59**	**127**
სულ ლიზინგი	**59**	**186**

ლიზინგი მიღებულია სუბიექტისგან რომელიც არ არის კომპანიის დაკავშირებული მხარე. მიზნობრიობა: დანადგარების შეძენა. მოცემული ლიზინგი უზრუნველყოფილია იმავე შეძენილი 2 დანადგარით (ჯამში 486 ათასი ლარი).

ამავე დროს, კომპანიამ ისარგებლა სახელმწიფო აგრო-პროექტით რომლის მეშვეობითაც აღნიშნული ლიზინგისთვის "სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან" მოიპოვა პროცენტის თანადაფინანსება 12%-ის ოდენობით.

სხვა ძირითადი პირობები შემდეგია:

(ათასობით ლარში_'000 GEL)

ლიზინგის გამცემი	ვალუტა	პროცენტი	გადახდის ტიპი	დაფარვის ვადა	31.12.2022	31.12.2021
სს თიბისი ლიზინგი	ლარი	16.5%	ყოველთვიური	2023	59	186
					59	**186**

ლიზინგთან დაკავშირებული თანხების მოძრაობა 2022 და 2021 წლებში იყო შემდეგი:

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	2022	2021
საწყისი ნაშთი_1 იანვარი	**186**	**294**
პროცენტის დარიცხვა	21	41
დღგ-ს, ქონების და დაზღვევის დარიცხვა	33	33
ძირი თანხის გადახდა	(127)	(108)
პროცენტის გადახდა	(21)	(41)
დღგ-ს, ქონების და დაზღვევის გადახდა	(33)	(33)
საბოლოო ნაშთი_31 დეკემბერი	**59**	**186**

17. სასესხო ვალდებულებები

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას სახელშეკრულებო პირობებზე კომპანიის ფიქსირებულ პროცენტიან სასესხო ვალდებულებებზე. სესხები მოცემულია საბალანსო ღირებულებით რომლებიც უტოლდება სამართლიან (ამორტიზებულ) ღირებულებას რადგან დისკონტირების გავლენა არ არის არსებითი.

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი კომპონენტი:		
სესხები საბანკო დაწესებულებიდან	2,686	-
სულ გრძელვადიანი სესხები	**2,686**	**-**
მოკლევადიანი კომპონენტი:		
სესხები საბანკო დაწესებულებიდან	64	1,700
სესხები არა-საბანკო დაწესებულებიდან	159	159
სულ მოკლევადიანი სესხები	**223**	**1,859**
სულ სესხები	**2,909**	**1,859**

სესხები მიღებულია საბანკო და სახელმწიფო დაწესებულებებისგან რომლებიც არ არიან კომპანიის დაკავშირებული მხარეები. მიზნობრიობა: აგრო-პროექტების დაფინანსება. მოცემული საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონებით. ამავე დროს, კომპანია სარგებლობს სახელმწიფო აგრო-პროექტებით რომლის მეშვეობითაც აგრო სესხებისთვის "სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან" ღებულობს პროცენტის თანადაფინანსებას. სხვა ძირითადი პირობები შემდეგია:

(ათასობით ლარში_'000 GEL)

სესხის გამცემი	**ვალუტა**	**პროცენტი**	**გადახდის ტიპი**	**დაფარვის ვადა**	**31.12.2022**	**31.12.2021**
სს თიბისი ბანკი	ლარი	12.5%	რეგულარული	2029	750	-
სს თიბისი ბანკი	ლარი	13%	რეგულარული	2024	2,000	1,700
ფინანსთა სამინისტრო	ლარი	5%	თავისუფალი	-	159	159
					2,909	**1,859**

სესხებთან დაკავშირებული თანხების მოძრაობა 2022 და 2021 წლებში იყო შემდეგი:

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	2022	2021
საწყისი ნაშთი_1 იანვარი	**1,859**	**1,355**
სესხების აღება	2,750	1,820
პროცენტის დარიცხვა	191	159
ძირი თანხის გადახდა	(1,700)	(1,317)
პროცენტის გადახდა	(191)	(159)
სავალუტო გადაფასება	-	1
საბოლოო ნაშთი_31 დეკემბერი	**2,909**	**1,859**

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ათასობით ლარში_'000 GEL)	31.12.2022	31.12.2021
დავალიანება პროდუქციის და მომსახურების მოწოდებიდან	527	1,735
სხვა დავალიანება	3,344	1,081
	3,871	**2,816**

ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდობის რისკების შესახებ მოცემულია შენიშვნა 20-ში.

19. საგადასახადო აქტივები / ვალდებულებები (წმინდა)

(ათასობით ლარში_'000 GEL)	31.12.2022	31.12.2021
დღგ-ს ზედმეტობა	1,285	1,516
საშემოსავლო გადასახადი	(417)	(395)
ქონების გადასახადი	(40)	(3)
სხვა გადასახადები	(43)	(31)
	785	**1,087**

20. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. შესაბამისად, რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მენეჯმენტის საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. კომპანია არ ფლობს ცვალებად-პროცენტიან ფინანსურ ინსტრუმენტებს. ასევე, არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

(i) საკრედიტო რისკი
(ii) საბაზრო რისკი
(iii) ლიკვიდობის რისკი

(i) საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

კომპანიის მაქსიმალურ რისკდამოკიდებულებას წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,562	4,931
ფულადი სახსრები ბანკში	1,729	362
	6,291	**5,293**

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო რისკი იმართება ხანდაზმულობის ანალიზით, გადახდისუნარიანობის შეფასებით ან/და სხვადასხვა სახის ანალიზით. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისტორიული გამოცდილებიდან და ინდუსტრიის პრაქტიკიდან გამომდინარე, 1 წლამდე ვადაგადაცილებული დებიტორები ნორმალური მდგომარეობაა და არ საჭიროებს ანარიცხებს, ხოლო 1 წელზე ან მეტზე ხანდაზმულ დებიტორულ ნაშთებზე ქმნის საეჭვო ვალების რეზერვს 50%-ის ოდენობით. სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობა პერიოდების ბოლოს იყო შემდეგი:

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	31.12.2022		31.12.2021	
	სრული თანხა	გაუფასურების რეზერვი	სრული თანხა	გაუფასურების რეზერვი
გადაუხდელია 0-365 (დღე)	4,304	-	4,728	-
გადაუხდელია 365> (დღე)	258	(258)	203	(203)
	4,562	**(258)**	**4,931**	**(203)**

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრების ჭარბი ნაშთი განთავსებულია საქართველოს რეზიდენტ ბანკში, რომელსაც დეპონირების თარიღისთვის ჰქონდა დეფოლტის მინიმალური რისკი. საერთაშორისო ავტორიტეტული სარეიტინგო ორგანიზაციის „სტანდარტ & პურსის" ბოლო შეფასების მიხედვით აღნიშნულ ბანკს მიენიჭა BB (სტაბილური) სტატუსი.

(ii) საბაზრო რისკი

კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საფინანსო საქმიანობიდან.

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ძირითადი უცხოური ვალუტების კურსის ცვლილება მოქმედებს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

სავალუტო რისკი

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა წარმოებს ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები წარმოიქმნება უცხოელ პარტნიორებთან ვაჭრობის შედეგად, რაც ძირითადად არის აშშ დოლარში და ევროში. კომპანიას ასევე ქონდა სესხები უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები რომლებიც კომპანიას უქმნიან საკურსო რისკს, განხილულია ქვემოთ. თანხები მოცემულია ექვივალენტ ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსებით.

(ათასობით ლარში_'000 GEL)	31.12.2022		31.12.2021	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
ფულადი სახსრები	161	1,236	-	217
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	432	412	385	420
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(192)	(2)	(286)	-
სასესხო ვალდებულებები	-	-	-	-
წმინდა პოზიცია	**401**	**1,646**	**99**	**637**

სენსიტიურობის ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში ლარის კურსის შესაძლო ცვლილების გავლენა წმინდა მოგებაზე, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით:

(ათასობით ლარში_'000 GEL)	31.12.2022		31.12.2021	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
10%-იანი გაუფასურება	40	165	10	64
10%-იანი გამყარება	(40)	(165)	(10)	(64)

(iii) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების მეშვეობით. კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად სავაჭრო მომწოდებლების მიმართ აქვს. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ გრძელვადიან საბანკო და სხვა სასესხო პროდუქტებზე წვდომა, კომპანიას ანიჭებს საკმარის მოქნილობას დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც მომავალში აუცილებელია ბიზნესში საკმარისი ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში ნაჩვენები თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს.

გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით.

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სალიზინგო ვალდებულებები	59	-	-	59
სასესხო ვალდებულებები	223	2,428	258	2,909
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,871	-	-	3,871
სულ მომავალი გადახდები	**4,153**	**2,428**	**258**	**6,839**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასობით ლარში_'000 GEL)

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სალიზინგო ვალდებულებები	127	59	-	186
სასესხო ვალდებულებები	1,859	-	-	1,859
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,816	-	-	2,816
სულ მომავალი გადახდები	**4,802**	**59**	**-**	**4,861**

21. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

კომპანია თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში, გარე ორგანიზაციების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ხდება ფინანსური ინსტრუმენტების გარებალანსური რისკების მონაწილე. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. კომპანია გარესაბალანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც იყენებს საბალანსო ოპერაციებში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ერიცხება გაცემული საბანკო გარანტიები ჯამში 42 ათასი ლარის ოდენობით რომლის ამოწურვის ვადაა 2024 წლის აპრილი. გარანტიების საპროცენტო განაკვეთებია 0% და 3%.

22. დაკავშირებული მხარეები

ბასს 24-ის შესაბამისად, კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი დირექტორი, დამფუძნებლები, და სხვა დაკავშირებული კომპანიები. შესაბამისად, კომპანიის დაკავშირებული მხარე არის მისი დირექტორი და საბოლოო ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი პირი ბატონი ივანე გოგლიძე. მასთან განხორციელებული ძირითადი ტრანზაქციები მოცემულია ქვემოთ.

ტრანზაქციები ძირითად ხელმძღვანელობასთან

წლის განმავლობაში, გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული შრომის ანაზღაურება იყო შემდეგი:

(ათასობით ლარში_'000 GEL)	2022	2021
ხელფასები და დაზღვევა	13	6
	13	**6**

თანხები მოცემულია დარიცხულის (გროსი) სახით და მოიცავს შესაბამის გადასახადებს.

FINANCIAL OFFICE
ACCOUNTING & ADVISORY

A member of
msi Global Alliance
Independent legal & accounting firms

შპს გსქ კულა

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გსქ კულას მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს გსქ კულას (შემდგომში „კომპანია") მმართველობის ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კომპანიის 2022 წლის შედეგების მიმოხილვას, ინდუსტრიაში არსებულ გამოწვევებს და კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმებს.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ასევე 2022 წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ნინო სამხარაძე.

ნინო სამხარაძე *(რეგ. № SARAS-A-425114)*

შპს „ფინანსური ოფისის" სახელით *(რეგ. № SARAS-F-802337)*

28 სექტემბერი 2023 წ.

FINANCIAL OFFICE
ACCOUNTING & ADVISORY

A member of
msi Global Alliance
Independent legal & accounting firms

შპს გსქ კულა

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გსქ კულას მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს გსქ კულას (შემდგომში ,,კომპანია") მმართველობის ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კომპანიის 2022 წლის შედეგების მიმოხილვას, ინდუსტრიაში არსებულ გამოწვევებს და კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმებს.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ასევე 2022 წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ნინო სამხარაძე.

ნინო სამხარაძე

ნინო სამხარაძე (რეგ. № SARAS-A-425114)

შპს „ფინანსური ოფისის" სახელით (რეგ. № SARAS-F-802337)

28 სექტემბერი 2023 წ.

შპს „გსქ კულა“

მმართველობის ანგარიშგება

(2022 წლის საქმიანობის მიმოხილვა)

2022

შინაარსი

შესავალი ---------- 3

საქმიანობის მიმოხილვა:

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ ---------- 4

წარმომადგენლობის შესახებ ---------- 5

რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ---------- 6

საერთაშორისო ინტეგრაცია ---------- 7

მართვის სტილი, კომუნიკაციის ფორმალური და არაფორმალური არხები ---------- 8

კომპანიის სტრატეგიული განვითარება - ---------- 10

ბიზნეს უწყვეტობის გეგმა ---------- 11

სამოქმედო გეგმები ---------- 12

შესრულების ანგარიშები ---------- 12

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები ---------- 12

ანალიზური მაჩვენებლები ---------- 13

რისკები და მათი მართვის სტრატეგია ---------- 15

შესავალი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, შპს „გსქ კულა“, როგორც მეორე ზომითი კატეგორიის სუბიექტი, უკვე წარადგენს აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და „მმართველობის ანგარიშგებას“. ორგანიზაცია აქვეყნებს მომხმარებლებისთვის მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვას.

ღიაობის უზრუნველსაყოფად, შპს „გსქ კულა“-ს საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მიღწევები და მნიშვნელოვანი ფაქტები ისტორიული წარსულიდან და მანამდეც, რომელიც საჯაროდ რეგულარულად ქვეყნდება, განთავსებულია შპს ,,გსქ კულა“-ს ვებ-გვერდზე: www.kula.ge

აქვეა ასახული ყველა სამოქმედო ნორმატიული დოკუმენტი, სტრუქტურა, განვითრების გეგმები და მათი შესრულება, მუშაობის ანგარიშები და ფინანსური შედეგები. ისინი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირთათვის.

საქმიანობის მიმოხილვა:

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ,,გსქ კულა“ - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 2009 წლიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 218083197. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). მისი იურიდიული მესაკუთრეა: **ლეილა ლონდარიძე**

ლეილა ლონდარიძე , პ/ნ 01011021767 – 100 % წილი

აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ერთპიროვნულად აკისრია კომპანიის დირექტორს, - **ივანე გოგლიძეს**

საწყისი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1 400 000 ლარს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, შიდა ქართლი, 1400 გორი, შინდისის გზატკეცილი #17. (საქმიანი ურთიერთობებისთვის ეს მისამართი დაფიქსირდა 2009 წლის 17 იანვარს. (საფუძველი: განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B10000489 , განაცხადის წარდგენის თარიღი: 05 იან 2010 15:02:58 გადაწყვეტილება # B10000489/6 17 იან 2010 14:13:46).

ელ-ფოსტა: office@kula.ge; **ვებ-გვერდი:** www.kula.ge; ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/KULA.CANNERY/.

ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/KULA.CANNERY/ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, სადაც განთავსებულია კომპანიის საქმიანობის ფაქტობრივად ყველა ინფორმაცია. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

კომპანიას, როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი კერძო სამართლის სუბიექტს, მართავს კომპანიის დირექტორი. მისი პასუხისმგებლობაა კომპანიის მართვა და ფინანსური სტაბილურობა. დირექტორი პასუხისმგებელია დამფუძნებლის წინაშე.

კომანიას გააჩნია:

სამი საამქრო. ხილის გადამამუშავებელი , ბოსტნეულის გადამამუშავებელი და მურაბების მწარმოებელი.

წარმომადგენლობის შესახებ

2009 წლის 30 დეკემბერს ქ. გორში დაარსდა კომპანია შპს „გსქ კულა“ (მისამართი: 1400 ქ. გორი, შინდისის გზ.N17 , ტელ: 0370 272 000, Mail: office@kula.ge; ხელმძღვანელი ივანე გოგლიძე ტელ: +995 599 409 409 , +995 577 409 409 ელ. ფოსტა: kula-kula@mail.ru).

შპს „გსქ კულას“ საქართველოში უწყვეტი ფუნქციონირებისათვის და უკეთესი მომავლისათვის შექმნილი აქვს სადისტრიბუციო დეპარტამენტი, რომლის თანამშრომლებიც ახორციელებენ პროდუქციის მიწოდებას, მონიტორინგს და პროდუქციის რეკლამირებას.

კომპანიის ძირითადი მიმართულება არის აწარმოოს ნატურალური პროდუქცია ადგილობრივი ნედლეულისგან.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კომპანია საქართველოს გარდა ახორციელებს ექსპორტს 20-ზე მეტ ქვეყანაში და უმეტეს ქვეყანაში ჰყავს თავისი წარმომადგენელი. ძირითადი წარმომადგენლობა არის აშშ, კანადა, გერმანია, უკრაინა, რუსეთი, ისრაელი. აღნიშნული ქვეყნების კომპანიები რეკლამირებას უკეთებენ არამარტო ჩვენს პროდუქციას, არამედ საქართველოსაც. ჩვენ სისტემატიურად ვაცნობთ სიახლეებს საზოგადოებას, ვიღებთ მონაწილეობას ზემოთაღნიშნულ ქვეყნებში ჩატარებულ გამოფენებში, რაც საშუალებას გვაძლევს ხელი შევუწყოთ პროდუქციის მეტად გაცნობასა და პოპულარიზაციაში.

კომპანია შპს „გსქ კულა“ სტაბილურად ახორციელებს ტრეინინგებს სხვადასხვა მიმართულებით, რომლის საშუალებითაც ვუმაღლებთ საკუთარ კადრებს და წარმომადგენლებს კვალიფიკაციას.

რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

შპს „გსქ კულა“ დაარსდა 2009 წელს. კომპანიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მომხმარებლისთვის მაღლხარისხისიანი და ნატურალური პროდუქტის მიწოდება. 2012 წლის დასაწყისიდან უწყვეტად მიმდინარეობდა ქარხნის აღჭურვილობის, საწარმოო ხაზების, დანადგარებისა და სადისტრიბუციო ავტოპარკის განახლება. კომპანიის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, მიმდინარე წლებშიც გრძელდება ქარხნის აღჭურვილობის მომდევნო განახლება: შეძენილია წვენის და ნექტარის ჩამოსასხმელი ხაზი, პასტერიზატორი და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა თუ მანქანა დანადგარები, რომელიც კომპანიას გამართულ მუშაობაში უწყობს ხელს.

საერთაშორისო ინტეგრაცია

"გორის საკონსერვო ქარხანა კულა" ჩამოყალიბდა 2009 წელს. ქარხანა ახორციელებს ნედლეულის გადამუშავებას, დაფასოებას, ამარაგებს სავაჭრო ქსელებს პროდუქიით, ამასთანავე ახდენს წარმოებული პროდუქციის ექსპორტს. კომპანიამ პირველივე წელს მოიპოვა ნატურალური პროდუქტების მწარმოებლის სახელი და გახდა ლიდერი საქართველოში ნატურალური წვენების წარმოებაში.

2012 წლიდან კომპანია აქტიურად შეუდგა ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოებას და დაიწყო მურაბების, ჯემების, ტყემლების, საწებლების, მარინადების, ტომატ–პასტის, ცივი სადილების, ნარშრაფის და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. 2013 წლის ბოლოსთვის, ქარხანა აწარმოებდა 150–ზე მეტი დასახელების პროდუქციას. დღესდღეობით კომპანია აწარმოებს 250 დასახელების საკონსერვო პროდუქციას.

საწარმო მდებარეობს საქართველოში, ქ. გორში, შიდა ქართლის რეგიონში, რომელიც მძლავრ აგრარულ სექტორად ითვლება სოფლის მეურნეობის პროდუქტების, კერძოდ ხილის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების წარმოებაში. რეგიონში ხელსაყრელი ეკოლოგიური და კლიმატური პირობებია. სამეურნეო მიწების მორწყვა ხორციელდება მთის მდინარეების წყლით.

კომპანიის უმთავრეს მიზანს მომხმარებლისთვის მაღლხარისხისანი პროდუქტის შეთავაზება და ამ სფეროში თავის დამკვიდრება წარმოადგენდა. შედეგმაც არ დააყოვნა და მომხმარებლის აშკარა მხარდაჭერითა და პერსონალის თავდაუზოგავი შრომით დაარსებიდან მეორე წელს ბრუნვა წინა წელთან შედარებით გაორმაგდა, შემოსავლის ზრდის პარალელურად იზრდებოდა მოთხოვნილება პროდუქციაზე და თუ თავდაპირველად პროდუქცია მხოლოდ საქართველოს რეგიონებისათვის იყო ხელმისაწვდომი, 2013 წლიდან კომპანიამ არა მარტო მთელი საქართველო მოიცვა და ბაზრის ლიდერადაც იქცა, არამედ ექსპორტზე გასვლით მრავალი მომხმარებელი შეიძინა საქართველოს საზღვების გარეთ. ცხადია, კომპანიის მატერიალური წინსვლა აისახებოდა მის ტექნიკურ აღჭურვილობაზეც.

საკუთარი დისტრიბუციის საშუალებით შპს „გსქ კულა“-ს პროდუქცია შესულია საქართველოს თითქმის ყველა სავაჭრო ქსელში. პროდუქცია წარმოდგენილია ყველა საფასო სეგმენტში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი შემოსავლის მქონე მომხმარებლისათვის.

ადგილობრივი მოსახლეობისთვის ამ ეტაპზე, შექმნილია 200-ზე მეტი სამუშაო ადგილი, ხოლო ფერმერებს კი ეძლევათ საშუალება საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის, რაც ეხმარებათ მათ გაზარდონ საკუთარი შემოსავალი.

მართვის სტილი, კომუნიკაციის ფორმალური და არაფორმალური არხები



არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა აჩვენებს კავშირს ფუნქციებს შორის

ყველა თანამშრომელი და მენეჯერი პასუხისმგებელია თავისი სამუშაოს შესრულების ხარისხზე და მათი თანამშრომლებისთვის სამუშაო პასუხისმგებლობის მინიჭებაზე. თანამშრომლები და მენეჯერები პასუხისმგებელი და უფლებამოსილნი არიან თავიანთი კონტროლის სფეროში:

- შესრულებული სამუშაოს ხარისხზე
- მოახდინონ პრევენციული ქმედების ინიცირება, რათა თავიდან ავირიდოთ შეუსაბამო პროდუქტის მიღების რისკი
- მოახდინონ ხარისხის შეუსაბამობის იდენტიფიცირება და ჩანაწერების წარმოება
- მოახდინონ ხარისხის შეუსაბამობის გამოსასწორებელი ღონისძიებების ინიცირება, რეკომენდაციების გაცემა და გადაწყვეტილების მიღება
- მოახდინონ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობის ვერიფიკაცია
- აკონტროლონ შემდგომი პროცესები სანამ ყველა პირობა არ იქნება დამაკმაყოფილებელი

- დეტალური ინფორმაცია თანამშრომლების პასუხისმგებლობასა და უფლებამოსილებაზე იხილეთ თანამდებობრივ ინსტრუქციებში, პასუხისმგებლობების მატრიცაში.
- სამსახურში არ ყოფნის შემთხვევაში პასუხისმგებლობა გადადის მომდევნო უმაღლეს მმართველ რგოლზე.

სტრუქტურის დამტკიცების, თანამდებობრივი ინსტრუქციების ჩამოყალიბების და მმართველობის რგოლების განსაზღვრის შემდეგ ხორცილედება არსებული თანამშრომლების განაწილება, მათთვის თანამდებობრივი მოვალეობების გაცნობა და ახალი პოზიციების მიხედვით შრომითი ხელშეკრულების გაფორმება ყველა თანამშრომელთან.

კომპანიის სტრატეგიული განვითარება

სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს კომპანიის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების მიდგომების, პრინციპების და გზების ჩარჩო. დოკუმენტი აყალიბებს,

როგორც კომპანიის განვითარების სტრატეგიულ მიზნებს, ასევე ასახავს იმ ღონისძიებებს და მოქმედებებს, რომელთა განხორციელება აუცილებელია აღნიშნული მიზნების წარმატებით მისაღწევად.

კომპანიის მარკეტინგის სამსახურის მიერ ჩატარებულმა SWOT- ანალიზმა გამოავლინა კომპანიის შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები, სუსტი და ძლიერი მხარეები. დასახული სტრატეგიული გეგმების განსახორციელებლად, კომაპნიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მაღალხარისხიანი, უვნებელი პროდუქციის წარმოება.

წარმოგიდგენთ კომპანიის მისიას:

შპს ,,გსქ კულას“ მისიაა ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მომარაგება მაღალხარისხიანი და უვნებელი სურსათით, რაც წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსური წარმატების გარანტს.

კომპანიის სურსათის უვნებლობის პოლიტიკა ორიენტირებულია მომხმარებელზე და მაქსიმალურად უზრუნველყოფს ორგანიზაციაში არსებული სურსათის უვნებლობის სიტემის დახმარებით კლიენტის და საერთაშორისო და / ან ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნების , პროცესებისა და პროდუქტის შესაბამისობას.

მთავარი მიზნის განსახორცილებლად ძირითად მიმართულებას და ვალდებულებას **წარმოადგენს მომხმარებელი.**

- მომხმარებელთან მჭირდო ურთიერთობის დამყარება , მათი სურვილების და მოლოდინის შესწავლა

- მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება კომპანიის შესაძლებლობებისა და საშუალების შესახებ მიკვლევადობის და სურსათის უვნებლობის საკითხში.

- რეკლამაციებისადმი ყურადღება და წარმოქმნილი პრობლემების მაქსიმალურად მოკლე ვადაში გადაწყვეტა, კრიზისული სიტუაციების გეგმის ეფექტურობა.

სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სიტემა

- სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სიტემის ვალიდაცია და მუდმივი გაუმჯობესება

- ორგანიზაციის საქმიანობის სრულყოფის მიზნით პროცესების მუდმივი გაუმჯობესება

- პროდუქტის უვნებლობის უზრუნველსაყოფად დადგენილი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვა წარმოების და მიწოდების ყველა ეტაპზე.

პროცესების გაუმჯობესება

- პროდუქციის უვნებლობის დონის ასამაღლებლად სამუშაოების მიზანმიმართულად წარმართვა. პროდუქციის უვნებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის დროულად გადაჭრა

- მუდმივი კვლევების წარმოება და დამზადებული პროდუქციის და მიწოდებული პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობის გაანალიზება.

პერსონალის მოტივაცია

-მაღალკვალიფიციური თანამშრომლების გუნდის ჩამოყალიბება, მათი პროფესიონალიზმის ამაღლება და სწავლებაზე ზრუნვა.

- ხელმძღვანელობასა და რიგითი თანამშრომლებისათვის შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნა პროდუქტიულობისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმა

2017 წლიდან კომპანიამ დაიწყო მუშაობა საწარმოო პროცესის უწყვეტ რეჟიმში მუშაობის უზრუნველსაყოფად. ამისათვის კი კომპანიაში თავდაპირველად მზადდება ნახევარფაბრიკატები, რომელიც შემდგომ გადის ტექნოლოგიურ გადამუშავებას და იღებს მზა პროდუქციის სახეს.

აქედან გამომდინარე შესაძლებელი ხდება მუშა - მოსამსახურეების უწყვეტი დასაქმება მთელი წლის განმავლობაში, რაც მოგვცემს სტაბილურ და კვალიფიციურ პერსონალს.

სამოქმედო გეგმები

2023 და მომდევნო წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს ღონისძიებების დეტალიზებულ ჩამონათვალს. მასში გამოკვეთილია შემდეგი მიზნები:

1. კომპანია გეგმავს გაზარდოს ექპორტი სხვადასხვა ქვეყნებში დივერსიფკაციის გზით.
2. ასევე, კომპანიის სტრატეგიაში გათვალისწინებულია ახალი პროდუქტების წარმოებაც.

შესრულების ანგარიშები

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შპს გსქ კულას საქმიანობის ბოლო ორი წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

	შენიშვნა	**2022**	**2021**	
შემოსავალი რეალიზაციიდან	**4**	9,180	13,793	-33%
რეალიზაციის თვითღირებულება	**5**	(8,052)	(10,955)	-26%
საერთო მოგება		**1,128**	**2,838**	**-60%**
სხვა საოპერაციო შემოსავლები	**6**	1,677	758	121%
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	**7**	(900)	(450)	100%
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**8**	(651)	(556)	17%
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	**9,12,20**	(55)	(49)	12%
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**1,199**	**2,541**	**-53%**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	**10**	(235)	(200)	18%
კურსთა შორისი წმინდა მოგება(ზარალი)		22	(30)	-173%
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**986**	**2,311**	**-57%**
მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)		-	-	
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		**986**	**2,311**	**-57%**

როგორც ცხრილიდან ჩანს, საანგარიშგებო პერიოდის რეალიზაცია 2021 წელთან შედარებით შემცირებულია 33%-ით, ხოლო წმინდა მოგება 57%-ით. აღნიშნულის ძირითადი მიზეზები შემდეგია:

- ადგილობრივი რეალიზაცია შემცირდა 11%-ით ხოლო ექსპორტი შემცირდა 55%-ით. კლება გამოწვეულია რაოდენობის ბრუნვის შემცირებით;

- თვითღირებულება შემცირებულია 26%-ით რაც პროპორციულია რეალიზაციის კლებისა;
- საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები ჯამში 117%-ით არის გაზრდილი რაც ძირითადად უკავშირდება მარკეტინგული, სატრანსპორტო და სახელფასო დანახარჯების ზრდას;
- რეალიზაციის შემცირების და ხარჯების ზრდის ფონზე, წმინდა მოგება შემცირებულია 57%-ით რაც შესაბამისობაშია ზემოთ მოყვანილ მონაცემებთან.

ანალიტიკური მაჩვენებლები

საქმიანობის შედეგებზე უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ანალიტიკური მაჩვენებლები:

ა) **მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი** (Current ratio) - მიმდინარე აქტივებით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის უნარი, მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდება. ეს მაჩვენებელი 2022 წლის ბოლოსათვის უდრის 4.00 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 1.5);

ბ) **სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი** (Quick ratio) – მიმდინარე ვალდებულებების კონვერტირებადი აქტივებით დაფარვის შესაძლებლობა შემოსავლების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმდინარე აქტივებისა და მარაგების სხვაობის თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან. 2022 წლის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 1.73 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 1.0);

გ) **აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი** (Absolute liquidity ratio) მოკლევადიანი ვალდებულებების დაუყოვნებლივ დაფარვის შესაძლებლობა ანგარიშსწორების ანგარიშზე და ბანკებში სხვა ანგარიშზე ფულადი სახსრების ხარჯზე. 2022 წლის ბოლოს იგი შეადგენდა 0.49 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.2);

დ) **კაპიტალიზაციის კოეფიციენტი** (Capitalization ratio) იგი 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.25 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი ნაკლებია 0.7);

ე) **უკუგება აქტივებზე** (Return on assets. ROA) მიუთითებს ფინანსურ უკუგებაზე გამოყენებული აქტივებიდან. იგი 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.05 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.11);

ვ) **კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი** (Return on equity ROE) იგი ასახავს რამდენად ეფექტიანად გამოიყენება დაბანდებული სახსრები. იგი 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.08 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.11)

ზ) **უკუგება გაყიდვებზე** - რენტაბელობა (Return on sales ROS) იგი ასახავს გაყიდვების მომგებიანობას, იგი 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.11 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.15)

თ) **დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი** (Accounts receivable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენჯერ იფარება დებიტორული დავალიანება წლის განმავლობაში. იგი 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 2.10 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 2.0)

ი) **კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი** (Accounts payable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენჯერ იფარება კრედიტორული დავალიანება წლის განმავლობაში. იგი 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 2.08 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 3.0)

აღნიშნული მონაცემების მიხედვით, 2022 წელს შპს გსქ კულას აქვს მცირედი ჩამორჩენა გარკვეულ მიმართულებებში, თუმცა მთლიანობაში გამოირჩეოდა დადებითი მაჩვენებლებითა და ფინანსური შედეგებით.

რისკები და მათი მართვის სტრატეგია

სტრატეგიული გეგმის და საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისას ყოველთვის არსებობს შიდა და გარე რისკები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია. გამოვყობთ შემდეგ რისკს:

- ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის ფონზე (დოლარის გაუფასურება) პროდუქციაზე სავარაუდო ფასების ზრდა

მართვის სტრატეგია:

- ექსპორტის გაძლიერება , რომლის შემოსავალი ევროსა და დოლარში, მოგვცემს სტაბილურად განვითარების საშუალებას, რაც აამაღლებს და გაზრდის კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ცნობადობას.

ამგვარად კომაპნიას გააჩნია მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა, რაც მომავალში კომპანიის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ივანე გოგლიძე

შპს გსქ კულას დირექტორი

28 სექტემბერი 2023 წ.

რისკები და მათი მართვის სტრატეგია

სტრატეგიული გეგმის და საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისას ყოველთვის არსებობს შიდა და გარე რისკები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია. გამოვყობთ შემდეგ რისკს:

- ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის ფონზე (დოლარის გაუფასურება) პროდუქციაზე სავარაუდო ფასების ზრდა

მართვის სტრატეგია:

- ექსპორტის გაძლიერება , რომლის შემოსავალი ევროსა და დოლარში, მოგვცემს სტაბილურად განვითარების საშუალებას, რაც აამაღლებს და გაზრდის კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ცნობადობას.

ამგვარად კომაპნიას გააჩნია მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა, რაც მომავალში კომპანიის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ივანე გოგლიძე

შპს გსქ კულას დირექტორი

28 სექტემბერი 2023 წ.